გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბეჟუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერიის“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 26 მაისი

კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვა-კუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდ-პატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთ ნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც-კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთ ნაირი დავალებაა, ერთ ნაირი უფლებაა და როცა იგი ერთს ერთ ნაირად ექცევა და მეორეს სხვა ნაირად, მაშინ იგი სხვა არა არის-რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე.

ვერა წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორ-მასწორობას უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაეგოს, პირ-ქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, სადაც ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედა-აზრად სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას. რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მოქმედნი კანონები ყველას ერთ გვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა.

თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო.

ამ მავნებელის ზნის აყოლა არ მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვით საზოგადოებაშიაც იმისთანა მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი და მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქნება თუ პატარა.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც დღეს ახალს ამბებშია დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ერთი იმერელი მოსამსახურე გაუგზავნია თავის ბატონს ფაეტონის მოსაყვანად. დიდხანს ჰცდილა ეს მოსამსახურე, მრავალს მეფაეტონეებს შეჰვეწნია, მაგრამ არავინ გამოჰყოლია. ბოლოს, როგორც იყო, უშოვნია ფაეტონი. იქვე მახლობლად მდგარა სამი სამხედრო წოდების კაცი. ერთს მათგანს უბძანებია მოსამსახურის მიერ დაჭერილ მეფაიტონესათვის, მე წამიყვანეო. მოსამსახურე უარზედ დამდგარა, ძლივ-ძლიობით ვიშოვე ფაეტონი, ჩემი დაჭერილია და ვერ დაგითმობთო. სამხედრო წოდების კაცს ბევრი აღარ ულაპარაკნია, ფაეტონი წაურთმევია, დაუძახნია პოლიციელისათვის და უბძანებია, ურჩი მოსამსახურე საიდმე გამაცალეო.

ამისთანა ძალ-მომრეობა ხშირია ჩვენში, მაგრამ იშვიათად გამომჟღავნდება ხოლმე. სამართლამდე რომ მიაღწიოს ამ საქმემ, რასაკვირველია, ამ ძალ-მომრეობას, მარტო დიდ-პატარაობასა და მაღალ-დაბლობაზედ დაფუძნებულს, თავისი შესაფერი მსჯავრი დაედებოდა, მაგრამ სამწუხარო ეს არის, რომ დიდმა იცის, პატარა ამაებს არ გამოუდგება და დანაშაული შეჰრჩება დამნაშავესა. უსათუოდ ამისთანა ბოლოც ექმნება ამ საქმესა: მოსამსახურე არ იჩივლებს და ეს ამბავი ჩაილულის წყალს დალევს. ჩვენკი არ შეგვეძლო ხმა არ ამოგვეღო ამ საგანზედ.

კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთ ნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე ერთ ნაირად ძვირფასი ყველასათვის. ამიტომაც იგი თანასწორობა ერთ ნაირად გასაფთხილებელია, ერთ ნაირად საქომაგებელი, ერთ ნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამ ნაირის თანასწორობისა თვითეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა და ამიტომაც საქებურია გულის-წყრომა იმისი, რომელმაც ეს ამბავი გვაუწყა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად და სამართლიანია იგი გულ ამღვრევაც, რომელიც ამის მოამბეს უგრძვნია ამ ამბავის მოხდენის დროს.

ეგ თანასწორობა, ეგ საჯარო უფლება რომ დაუსჯელად ილახებოდეს, მაშინ ვერავინ კარშიაც ფეხს ვერ გამოჰყოფდა, რადგანაც პატარას დიდი არ დაელევა და დიდს კიდევ უფრო დიდი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კაცთა საზოგადოება ცნობიერთა არსებათა კრებასკი არ წარმოადგენდა, არამედ შავის ტყის ნადირთა გროვას, სადაც ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ჩვენდა სასიამოვნოდ ამისთანა ამბებს აწ არსებულნი კანონები არ იწყნარებენ და სანატრელია, რომ არც ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში შეიწყნაროს.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ ენახეთ პლანი ანუ გეგმა იმისი, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს ბანკის თეატრი არწრუნისეულს ქარვასლაში. ამ საგნისათვის, როგორც ვიცით, წრეევანდელმა ბანკის წევრთა საერთო კრებამ გადასდო 30,000 მან. პლანზე ყოველივე, რაც-კი სასურველი იყო რომ გაკეთებულიყო, გამოსახულია და დანიშნული. სცენა გადიდებული იქმნება, თეატრის დარბაზიც სრულიად გადაკეთდება ამ პლანით. პლანს სინჯავს ამ ჟამად ცალკე კომისია. ჯერ არ ვიცით, მიიღებს თუ არა ამ პლანს კომისია.

*** 24 მაისს ბანკის დარბაზში წლიური კრება იყო ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა. წარმოდგენილი იყო დასამტკიცებლად ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 15 მაისიდამ 1886 წლისა 1 იანვრამდე 1887 წ. ანგარიშის შესახებ რამდენიმე შენიშვნა წარმოითქვა და შემდეგ დამტკიცებულ იქმნა. დიდხანს გასტანა ბაასმა ბათუმის სკოლის თაობაზედ; ამ სკოლის შესახებ გამგეობამ წარმოადგინა წინადადება, რომ ეს სკოლა გაუქმდესო, რადგან დიდი ხარჯი აქვს საზოგადოებასაო. ცხარე კამათობის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა 25 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-სა, რომ ბათუმის სკოლა ისევ დარჩეს და არ გაუქმდესო. კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგის წლისათვის, მხოლოდ მდივანის ჯამაგირის შემცირების შესახებ გამოსთქვა აზრი, რომ ეს საქმე თვით გამგეობას მიენდოსო. გამგეობასვე მიანდო კრებამ: წევრთაგან ფულის მოგროვების შესახებ ისე მოიქცეს, როგორც უფრო სამჯობინაროდ დაინახავსო.

*** 24 მაისს, ექვსს საათზედ, შუადღის უკან, ყველანი მუშტაიდში მიეშურებოდნენ. ვიღაცას გამოეგზავნა თავისი მოსამსახურე „მეგრელი ბიჭი“ ფაეტონის მოსაყვანად. ამ ბიჭმა რამდენიც ცარიელი ფაეტონი ნახა, თითქმის ყველას სთხოვა, მაგრამ არც ერთი არ წაჰყვა. რადგან ტფილისში ამ გვარი უწესოება მეფაეტონეთა შორის წესად არის შემოღებული, მოთმინებიდამ გამოსულმა მოსამსახურე ბიჭმა გააჩერა ფაეტონი და იწვევდა პო-

# ფელეტონი

## ტფილისიდამ თეირანს

### წერილი მეგობართან

ვიცი, ჩემო ჰამზა, რომ ჩემზედ ძრიელ გამწყრალი ხარ, რადგანაც წერილი დაგიგვიანე. ერთის რუსის ენაკვიმატის მწერლისა არ იყოს, ახლანდელი დრო ბოდიშის მოხდის დროაო: გინდა თუ არ გინდა, ყოველთვის და ყველაზედ ბოდიში უნდა იხადო, თავი აქედ-იქით უნდა იქნიო, „პარდონ“, „იზვინიტე“ იძახო... მეც უკაცრავად! რა გაეწყობა,—დრო ისეთი დაგვიდგა, რომ უბოდიშოდ კაცს ხათაბალა ვერ ასცდება, მაგრამ შენ მაინც სხვა ხარ, შენთან თავის გამართლებაც შეიძლება. მაშ ყური მათხოვე. აი საქმე რაშია:

აქაურს საზოგადოებრივს მოღვაწეობას რომ დააფიქრდეს კაცი და ცხოვრების მიმდინარეობას ჰკუა-დალაგებით თვალ-ყური ადევნოს, ერთს სამწუხარო მოვლენას უეჭველად შენიშნავს. ეს მოვლენა ისაა, რომ მოღვაწეობასაც და საზოგადო ცხოვრებასაც ნახტომი აქვს შეშლილი, გზაკვალი აქვს დაბნეული. საერთოდ რომ ითქვას, არც ერთი საქმე, რომელიც უკისრნია საზოგადოებას ან კერძო კაცს, მწყობრად, განუწყვეტლივ, ზედმოყოლებით არა კეთდება. გამოტყვრება მოულოდნელად რომელიმე მოღვაწე, მოჰკიდებს ხელს რაიმე საკეთილო საქმეს, პირველს ხანში გააკეთებს კიდეც ცოტას რასმე და მერე... მერე იმედს და სასოებას ჩაილულის წყალს გააყოლებს. რათაო, მკითხავ შენ. მათა, ჩემო კარგო, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობა აქ ჯერ სალი მოვლენა არ არის, კერძო კაცის თუ საზოგადოების ჩვეულებრივი მოთხოვნილება როდია. ძნელად თუ მოღვაწე მედგრად და სამუდამოდ ეკიდება საზოგადო საქმეს; ის ამ საქმისათვის არ იწრთვნება და არც შეძლება აქვს, რომ გაიწვრთნოს. თვით ცხოვრებაც არ უწყობს კაცს ამაში ხელს. მთელი ცხოვრება ოჯახურის აღზრდამ დაწყობილი სულ „მე“-ს ვიწრო კალაპოტშია მოთავსებული. ამბობენ, ცხოვრება მაშინ არის კარგად მოწყობილი, როცა ეს პაწია „მე“ და დიდი „ჩვენ“ ერთი-ერთმანერთს ხელს ჩაჰკიდებენ და ძმურად მოქმედებენო; სადაც ასე არ არის, იქ თითონ ცხოვრებაც ჯან-მრთელი და სალის აგებულებისა არ არისო. მე ამ აზრის თანახმა ვარ და კიდეც ამიტომ ვფიქრობ, რომ აქაური საზოგადოებრივი მოღვაწეობა სალი მოვლენა როდია. აქ უნდა მოიძებნოს უმთავრესი მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ გურჯისტანში არც ერთი საზოგადოებრივი მოღვაწეობა მრთელს მოვლენას არ შეადგენს, მუდმივ და თანასწორად არ მიმდინარეობს. აიღე თუნდა მწერლობა. რამოდენი მაგალითია, რომ ნიჭით და ცოდნით სავსეს გურჯს, ერთის და ორის კალმის მოქნევის შემდეგ, კალამი უკუ-უგდია, მწერლობა უარ-უყვია და მარტო კერძო ბედნიერებისათვის შეუწირავს თავი! რამდენი მაგალითია, რომ მოღვაწე კუდიან ვარსკვლავისავით მოსჩვენებია საზოგადოებას და მერე გამქრალა!.. თუ მახსოვრობა არ მატყუებს, ჩემო ჰამზა, ჩვენი „გურჯისტანი“ შარშან ერთს თავის ნომერში ამის მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ლიტერატურა ჯერ-ჯერობით ლუკმა-პურს არ იძლევა და როცა მისცემს, მაშინ საქმე სხვა ნაირად დაბრუნდებაო... მართალია, მწერლობაც ხელობაა და იმასაც საფასი ეპირვება, უამისოდ იგი შეიფერხებს ხოლმე და დროზედ ვერ ალორძინდება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ თითონ ამ საფასის მიუცემლობა და მის გამო მოღვაწეობაზედ ხელის-აღება აშკარად გვიჩვენებს, რომ ყველა საზოგადო საქმეს წინ ელობება ჩვენგან დასახელებული ყოვლად ძლიერი „მე“; ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ თვით საზოგადოებრივს მოღვაწეობას ფეხ-ქვეშ მაგარი ნიადაგი არა აქვს, ცხოვრება მთელს სხეულს არ წარმოადგენს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ აქაურს მწერლობაში ის როდი-ღა იქნებოდა, რაც ეხლაა: ცოტას ხანს მოგეჩვენება საზოგადო ასპარეზზედ ვინმე და მერე ლოკოკინასავით შეძვრება თავის სადგურში და იქ ჰლევს სიცოცხლეს... მაშინ კაცი „ლუკმა-პურს“ სხვაგან იშოვნიდა და არც საზოგადო მოღვაწეობას თავს დაანებებდა, რადგანაც ეს მოღვაწეობა ყველა სალის კაცისათვის მიუცილებელი მოთხოვნილება უნდა იყოს. რადგანაც საზოგადოებრივი მოღვაწეობა სალი მოვლენა არაა, ამიტომ გარეგანის თავის გამოხატულობით იგი უცნაური რამეა: მოღვაწე ერთბაშად აწყდება საქმეს და ზედ ალევს თავის ძალ-ღონეს, მერე კი მშრალზედ რჩება და პირ-ღია შესცქერის ცხოვრებას... ლუკმა-პური, ჩემო ჰამზა, აქ არაფერს შუაშია და ეს იმიტომ, რომ ხშირად შემძლე გურჯიც-კი ჯერ იერიშს მიიტანს, ზედ შევარდება რაიმე საზოგადო საქმეს და მერე თითონვე უარ-ჰყოფს თავის ხელთა-ქმნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიციას მოსაშველებლად. ამ დროს მუხრან-ბატონის შენობის წინ იდგნენ სამნი აფიცერნი მათ დაუძახეს მეფაეტონეს, აქ მომგვარე ფაეტონიო! იმერელმა არ დაანება. მე სამი საათია, რაც ფაეტონებს ვეძებ, ფაიტონისათვისა ვარ გამოგზავნილი და ვერ დაგითმობთო. ეს ახალგაზდა აფიცერმა იწყინა, უბრძანა მეფაეტონეს, აქედამ არ მოიცვალო ფეხიო, წავიდა, მოიყვანა პოლიციელი და იმერელი პოლიციაში გააქანებინა, თვით-კი ჩასხდნენ ფაეტონში და გაჰქანდნენ მუშტაიდისკენ. პოლიციელმაც აღასრულა ბრძანება და წაიყვანა მოსამსახური პოლიციაში. ერთი მაყურებელთაგანი ამ სცენისა, გვწერენ ჩვენ, მეც ვიყავი სხვათა შორისაო და ამ გვარმა უსამართლობამ მეტად ამაშფოთაო. მე მგონია ასეთი მაგალითები ხალხში არ არის მოსაწონი.

*** მცხეთიდგან გვწერენ: მაისის 24-ს, საღამოს 9·10 საათზე, როცა სახალხო მატარებელი მოვიდა მცხეთაში, ორმა უცნობმა კაცმა დაარტყა „პარკოფილის" რკინა (რომლითაც ვაგონებს აბმენ ერთმანეთზე) მეორე კლასში მყოფს რკინის გზის ხაზინადარს გვარად მინაევს, რომელსაც თან მოჰქონდა ათას შვიდასი თუმანი ფული. ზოგი ამბობს, რომ 27,000 მან. ჰქონდა თანაო. გარეტიანებულს გულ-წასულს ხაზინადარსა აჰგლიჯეს ფულიანი ჩანთა, გამოცვივდნენ მსწრაფლად, გადახტნენ ბ-ნ გორნიჩის ბაღში და საჩქაროზე მიიმალნენ. როგორც ამბობენ, ეს ორი კაცი მესამე კლასის ვაგონით მოდიოდნენ გორამდინაო. გორში იყიდეს მეორე კლასის ბილეთი და გადასხდნენ იმ მეორე კლასის ვაგონში, საცა ფულიანი ხაზინადარი იჯდაო. მცხეთის მამასახლისმა გამორეკა მდევრად მთელი სოფელი; ხიდებზედაც დარაჯები დააყენეს. ძეგვის ხიდზე დღესაცა სდგას დარაჯი და უბილეთოდ არავის უშვებს, მაგრამ ჯერ ვერავითარს კვალს ვერ მიაკვლიესო.

*** პიატიგორსკიდამ გვწერენ, რომ თუმცა აქაურ მადნის წყლებზე კარგა ხანია რაც სეზონი დაიწყო, მაგრამ აქამომდე ჯერ ცოტა ხალხია მოსულიო.

*** ამ ქამად ფინანსთა სამინისტროს შეუტანია სახელმწიფო საბჭოში გასარჩევად ახალი წესდებანი სახელმწიფო ხარჯის გადახდის გამო. როდესაც ეს ახალი წესდება მოქმედობას დაიწყობს, მას შემდეგ დაიწყება მთელის იმპერიის აღწერა. აღწერა სხვათა შორის ჩვენს ამიერ-კავკასიაშიაც მოხდება («Московскія Вѣдомости»).

*** ამას წინად დუშეთში სეტყვა მოსულა, მაგრამ ამ სეტყვას ზარალი არ მიუცია ხალხისათვის, რადგან წვრილი სეტყვა იყოვო.

## წერილი მოსკოვიდამ

აი ორიოდე ცნობა საყურადღებო მოვლენისგამო... ამ რამდენისამე წლის წინად ისტორია-ფილოლოგიურის ფაკულტეტის გარდაწყვეტილების ძალით გაგზავნილ იქმნა კემბრიჯის უნივერსიტეტში ახალგაზდა მეცნიერი, აწ პროფესსორი მსოფლიო ისტორიისა პავლე ვინოგრადოვი. ეს უკანასკნელი ამ ქალაქში მეცადინეობდა, კარგად და საფუძვლიანად შეისწავლა ყოველ გვარი მასალა შესახებ ინგლისის ისტორიისა საშუალო საუკუნოებში. უმთავრესი მასალა, რომელიც იყო ვინოგრადოვის სამეცნიერო გამოკვლევის საძირკველი, არის ეგრედ წოდებული „დუმდეისბუკ", ფრიად საყურადღებო ისტორიული ნაშთი. თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ მეთერთმეტე საუკუნეში ვილჰელმ დამპყრობის დროს (Вильгелмъ Завоеватель), (1066—1087) მოახდინეს აღწერა უძრავ მამულთა და აგრეთვე ინგლისის მცხოვრებთა. მაშინ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოში ითვლებოდა 70 ბარონი, 60,000 ლენი თავად-აზნაურთა და რიცხვი მცხოვრებთა 2 მილლიონამდე. ამ მასალით და კიდევ ბევრი სხვა კრიტიკით განუხილავის წყაროებით ვინოგრადოვი სარგებლობდა დიდის სიფრთხილით. ეხლანდელი ლიტერატურაც არა ჰქონდა დავიწყებული. თვისი გამოკვლევა შესახებ ინგლისის „სოციალურ ისტორიისა საშუალო საუკუნოებში" ვინოგრადოვმა წარუდგინა ფაკულტეტს „დოქტორობის" მისაღებად. 16 მაისს მოხდა დიდს საუნივერსიტეტო დარბაზში სამეცნიერო დისპუტი. ხალხი ბლომად დაესწრო. უმთავრესს ოპონენტად დანიშნეს მსოფლიო ისტორიის პროფესსორი ელ. გერიე და მეცნიერი ჩვენ მიერ ცნობილი, მაქსიმ კოვალევსკი. ავიდა თუ არა ვინოგრადოვი კათედრაზე, მაშინადვე მოისმა დიდი ტაშის კვრა. ვინოგრადოვმა თავდაპირველად აღწერა ის უპირველესი მოთხოვნილებანი მეცნიერებისა, რომელნიც შეადგენენ ნასწავლთათვის იდეალსა. ამ იდეალის განხორციელება შეადგენს მეცნიერისათვის პირველსა და უკანასკნელს სურვილს; მეცნიერება არის სრულიად თავისუფალი; მხოლოდ თავისუფლება აძლევს მას დიდს ძალას; თავისუფლება არის უპირველესი პირობა მეცნიერების წინ-მსვლელობისა. მეცნიერი-ისტორიკოსი არ ასწავლის თანამედროვე ახალთაობას „პოლიტიკას". ამ მეცნიერის უმთავრესი სურვილი მხოლოდ ჭეშმარიტებაა. მე ვცდილობდიო, სთქვა ვინოგრადოვმა, ვყოფილიყავი ამ გვარ მეცნიერთა დროშის ქვეშ და რამდენადაც აღვასრულე ჩემი გულითადი წადილი, ამას დააფასებს ნასწავლი საზოგადოება, რომლის წინაშე წარმოვადგენ ჩემს ნაშრომსაო. შემდეგ ამისა მან წაიკითხა ის 25 ტეზისი, რომელიც შეადგენდა მის გამოკვლევის დედა-აზრებსა. პირველი მოკამათე, როგორც ვსთქვი, იყო გერიე, რომელმაც ღირსეულად დააფასა ეს თხზულება, თუმცა დაცინვით შეჰნიშნა, რომ „მეშინიან ჩემ აზრს იგივე ბედი არ მოუვიდეს, როგორც რუსულს მანათსა, რომელიც ბერლინის ბირჟაზე მალ-მალ დაიწევს ხოლმეო". თავისი ყურადღება ამ მეცნიერმა უფრო წვრილმან ცნობებს მიაქცია. საწყალ ფურცლებს სულ მტვერი აადინა, იმოდენა ჰშალა და ჰფურცლა. ჩვენ სიამოვნებით მოველოდით იმ წამს, როცა baaს დაიწყობდა მაქსიმ კოვალევსკი. ამ უკანასკნელმა ვინოგრადოვის გამოკვლევა დიდის აღტაცებით მოიხსენა. ჩემის აზრით, დასავლეთ ისტორიულ-ლიტერატურაშიაც ბევრი არ არის ამ გვარი ნაშრომიო. ვინოგრადოვის თხზულება არის დიდად ძვირფასი და ღირს შესანიშნავი განძი თანამედროვე ისტორიისაო. მხოლოდ იგი არ თანაუგრძნობდა ერთს ვინოგრადოვის დედა-აზრსა, რომლის ძალით ეგრედ წოდებული „ვილლანების" სოციალური მდგომარეობა ითვლება შედეგად მხოლოდ ინგლის-საქსონის გავლენისა. კოვალევსკი ამტკიცებდა, რომ ეს შეცდომააო. ვილლანების სოციალური ვითარება აიხსნება უფრო ნორმანდიის ზედ-გავლენით. ნორმანდიის გავლენა იყო ფრანგების ისტორიის შედეგი. ამ უკანასკნელში-კი, როგორც ვიცით, მოქმედობდა რომაელთა უფლება, რომაელთა ტრადიცია. ამის გამო ორთავე მეცნიერთა შორის ასტყდა ცხარე ბაასი, ვინოგრადოვი თავის აზრს ღირსეულად ამტკიცებდა მრავალ გვარის ისტორიულის საბუთებით. დანაშთენი შენიშვნანი კოვალევსკისა წვრილმან საგნებს შეეხებოდა. კოვალევსკიმ დაიწყო ქებით და ქებითვე გაათავა თავისი სამეცნიერო ბაასი. დასასრულ დეკანმა წაიკითხა ფაკულტეტის განაჩენი. ამ განაჩენში იყო მოხსენებული ვინოგრადოვის მაღალი ღირსებანი, როგორც მეცნიერისა. პროფესსორთა კოლლეგიამ ვინოგრადოვი ღირსად სცნო „დოქტორობის" ხარისხისა. იქ მყოფ საზოგადოებამ ახალგაზდა მეცნიერი-ისტორიკოსი ხანგრძლივის ტაშის კვრით და ბრავოს ძახილით დააჯილდოვა.

ალ. გარსევანიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჯერ კიდევ არ გათავებულა გაზეთებში ლაპარაკი ახალის სამინისტროს შედგენაზე საფრანგეთში. რუვიეს სამინისტროზე სჯიან და ლაპარაკობენ ყველანი: ზოგი დიდს დღეს არ უქადის ამ სამინისტროს და პირდაპირ „საზაფხულო სამინისტროს" უწოდებს, ესე იგი, ისეთს სამისტროს, რომელიც ამ ზაფხულის გასვლამდე ძლივს გასტანს; ზოგი ამბობს: გერმანიისათვის-კი ფრიად სასიამოვნოა, რომ რუვიეს სამინისტრო შესდგა და ბულანჟეს ხელი აადებინეს მინისტრობაზეო.

ახალის სამინისტროს შედგენა, ამბობს გაზ. „С.-Пет. Вѣд."-ი, უფრო გერმანიას უნდა მივულოცოთ, ვიდრე თვით საფრანგეთსა. ბისმარკის გაზეთმა გამოაცხადა სია ახალის მინისტრებისა და სხვა ნაირის ასოებით დაბეჭდა, რომ ახალს კაბინეტში ბულანჟე აღარ იქმნებაო.

მაგრამ რუსულს გაზეთს მაინც არა სჯერა, რომ ეს ახალი კაბინეტი ისეთს პოლიტიკას დაადგება, რომელიც საამო იქმნება გერმანიისათვის.

ჯერ კიდევ ვნახოთ, ერი რას იტყვის ბულანჟეს გადაყენების გამოვ. თვით ის გარემოებაც, რომ ფლურანსი დარჩა ახალს სამინისტროში გარეშე საქმეთა მინისტრად, ვერაფერი სასიამოვნო უნდა იყოს გერმანიისათვის, რადგან ფლურანსი, უეჭველია, წინანდელს პოლიტიკას არ შესცვლისო.

ასეა თუ ისე, ბისმარკის საქმე ამ ქამად გაჩარხულია. სამინისტრო მომეტებულ ნაწილად ისეთის ხალხისაგან არის შედგენილი, რომელთაც გერმანიასთან თუ დიდი მეგობრობა არა ჰსურთ, არც ომის დაწყება უნდათ. ამ სამინისტროში აღარ ურევია ისიც, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ბისმარკს. გერმანიის კანცლერს ეს უნდოდა და თავისი სურვილი კიდეც შეისრულა.

***

მწერალს დიდადა ჰსურს, რომ კარგად იცნობდეს თავის მკითხველს და ესმოდეს მისი გულის-პასუხი. ამასთანავე იმის მოსურნეც არის, რომ მისი ლაპარაკი მოქმედობდეს მკითხველზე და თვით მკითხველიც თანაგრძნობით შეჰყურებდეს თავის მასწავლებელს და მოძღვარს მწერალსა. შჩედრინმა სხვა-და-სხვა ნაირი მკითხველები გააცნო საზოგადოებას გაზეთ „Рускія Вѣдомости"-ში და ახლა გვიხატავს ეხლანდელის გულ-უბრყვილო მკითხველის სურათსაცა:

თუმცა გულ-უბრყვილო მკითხველს თავისით არ შეუძლიან შეიძაგოს ან შეიზიზღოს რამე, მაგრამ არც გრძნობა კაცობრიობისაა ფესვ-გადგმული იმის გულში; თუმცა არც იმდენი მოხერხება აქვს, რომ განგებ ფეხი გამოჰკრას ვისმე და სიცოცხლე გაუმწაროს, მაგრამ არც იმოდენად პატიოსანია, რომ ხელი შველისა გაუწოდოს კაცსა. მთელი იმისი არსება, მისი ფიქრი და გონება, მისი მოქმედება განუწყვეტელი ტოკვაა, ყოყმანობაა. ამისთანა კაცთან სრულიად უსარგებლოა ლაპარაკი და ურთიერთობა. ამაზე ის-კი არა მოქმედობს, რასაც ჩააგონებ, ან რაშიაც დააჯერებ, არამედ ძალ-დატანება, გარეგანი ძალადობა. თუ მოხერხებულის კაცის ხელში ჩავარდა, მძვინვარე და შეუბრალებელი შეიქნება. მაშინ აღარც

---

სხვაგან, სადაც ცხოვრება სწორე კალაპოტშია ჩაყენებული, სადაც ზნეობრივი თუ გონებრივი ცხოვრება საზოგადოებისა მწყობრად მოძრაობს, იქ ხტომით და დახლართულის ბილიკით მსვლელობა შეუძლებელია, იქ ყველაფერი გაზომილია და აწონილი, იქ კერძოს და საზოგადოს თავისი სარბიელი გამიჯნული აქვს. აქ, გურჯისტანში, სულ სხვაა. — ვიცი, ჩემო ჰამზა, რომ ეს ჩემი შეხედულობა არ ეჭაშნიკებათ გურჯებს და ორთავე ხელით ქოქოლას მომაყრიან, მაგრამ აბა დამისახელონ საზოგადო საქმე ან საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ჯან-მრთელობა და სისაღე ეტყობა, რომელიც თავიდამ ბოლომდე სწორე ნაბიჯით, სისტემატიურად მიესწრაფება და ეტანება თავის საგანს?!...

ეხლა, ჩემო ჰამზა, აქ დიდს „მოდაშია" ეკონომიური კანონი და თითქმის ყველა მოვლენას ამ კანონის ზედ-მოქმედებით ხსნიან, თვით ლიტერატურის აღორძინება „ლუკმა-პურზეა" დამყარებულიო!.. ჩემის აზრით, ერთი რამე აეიწყდება აქაურს ფილოსოფიას — ეს ის, რომ ცხოვრების თვითოეულს მხარეს თავისი საკუთარი კანონი აქვს და, მაგალითად, გონებრივის მოძრაობის ახსნა მარტო ეკონომიურის კანონით, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, შეცდომა იქნებოდა. სხვაგან, სადაც ცხოვრება საფუძვლიანად შეგნებული და შესწავლული აქვთ, მთლად ცხოვრებასაც მარტო ეკონომიურად როდი უცქერიან; აქ კი ამოიჩემებენ ერთს რომელსამე საქმეს და სულ ის ელანდებათ... არა, ჩემო მეგობარო, ცხოვრება რთული მოვლენაა.

თუ რომელსამე მოღვაწეს რაიმე დაბრკოლება მოეფეთა, მაშინ მოღვაწე მთლად ჰკარგავს ენერგიას, ბრძოლის ხალისს, მჩვარი ხდება, როგორც რუსები იტყვიან; ჰაბუკური სითამამე, სულის აღტაცება და გულის კეთილშობილური ძგერა ოცნებად იქცევა, სიზმრად ხდება!.. რამდენი ადამიანია აქ, ჩემო ჰამზა, რომელთაც პირველადვე საზოგადო მოღვაწეობისათვის ხელი მოუკიდნიათ და მალე მოშორებიან საზოგადო ასპარეზს, — გარემოება ხელს არ გვიწყობსო, დაბრკოლება აღმოგვიჩნდაო, თითქო საზოგადო მოედანი ეკლით არ იყოს მოცული!.. არა, ჩემო ჰამზა, მიზეზი აქ სხვაა, სახელდობრ ისა, რომ თითონ მოღვაწის ბუნება ჭიანია, ზადიანია და ამიტომ ბრძოლას ვერ უძლებს, პირველისავე დაბრკოლების წინ ქედს-კისერს იხრის, იარაღს სტოვებს და განსვენებას ეძლევა... საქმეც იმაშია, რომ მოღვაწის ჭიანი ბუნება ცხოვრების ტალღებს ვერ ებრძვის, როგორც ვერ ებრძვის ქარიშხალს და გრიგალს ჭიანი ხე. ეს კიდევ არაფერი. სავაგლახო და სავალალო უფრო ის არის, რომ ცხოვრებაში „წყალ-წაღებული" თავის ბედ-იღბალს არა სჯერდება, ქერქში არა სდგება... უარ-მყოფელი თავის იდეალისა, იმედისა, როდი ისვენებს — სხვებს წინ ელობება და ულონო ბრაზისაგან იღრინება, პირიდგან ცოფსა ჰყრის. აი სწორედ მაშინ იჩენს ხოლმე თავსა აქაური სახელ-განთქმული შური, მტრობა, ცილისწამება და სხვა ამ გვარი თვისება. როგორც ჰხედავ, ჰამზა, ეს მოვლენა ზნეობრივი ავადობაა. რა არის ამის მიზეზი? — თვით ცხოვრებაო, მისი მიმართულებაო, გაიძახის აქაური ფილოსოფია. საბრალო ცხოვრება! ყველა ბრალს და დანაშაულობას ამას ჰკიდებენ ზურგზედ, თითქო თვითეული კაცი მარტო ის იყვეს, რასაც ცხოვრება იძლევა და თავისი საკუთარი, ადამიანური არა მოეპოვებოდესრა. არა, ბატონებო, — ცხოვრებას თუმცა დიდი ზედ-მოქმედობა აქვს კაცზედ, მაგრამ კაცსაც თავისი საკუთარი ბუნება მოეპოვება; კაცის ბუნება კიდევ თუმცა ექვემდებარება ცხოვრებას, მაგრამ სრულიად-კი არა ჰკარგავს თავის „მე"-ს, — ამაში მდგომარეობს ის ძვირფასი განძი, რომელსაც პიროვნულს თვითებას უწოდებენ. კაცის პიროვნული თვითება თხოულობს განვითარებას, წარმატებას და ამ განვითარებისათვის საკუთარი კანონები არსებობენ. მაშ არ შეიძლება ყველაფერი მარტო ცხოვრებას მოვახვიოთ თავსა, ბრალი მთლად მას წამოვკიდოთ. ზემოდ რომ ელაპარაკობდი, ჰამზა, აქაურის ცხოვრების მიმართულებაზედ, აზრად არა მქონდა უარმეყო მოღვაწეთა საკუთარი ბრალი და დანაშაულობა, არა — თითონ ეს უკანასკნელნი ბევრად არიან დამნაშავენი..

ზნეობრივის უძლურების პირ-და-პირი შედეგი უსაქმიანობაა, ცარიელი ჩხავილი და გაზეპირებული ფრაზების სროლა. აქ, აწინდელი დრო ფრაზების დროა; შედარებით რომ ითქვას, რაც აქ მაღალს სიტყვებ ეხარჯავთ, იმის მეასედი საქმე არა კეთდება. საკვირველი კიდევ ისაა, რომ ვინც უფრო უძლურია და უსაქმიანო, ის უფრო ბევრსა ჰყვირის... ვერა გამიგია-რა! პირველ შეხედულობით უცხო კაცს ეგონება კიდეც — გაჩაღხულა ამათი საქმეო, მაგრამ ვაი ამისთანა გაჩაღხვას!.. სიტყვებით ყურს გიჭედენ და საქმე-კი არსადა ჰსჩანს. რადგანაც აწინდელი დრო ფრაზების დროა, ამიტომაც ფრაზების ნადიმს, თუ გნებავს, „ბანკეტს" ისე მოელიან, რო-

აიღებს, აღარც დაიღებს, უმიზეზოდ და უაზროდ დაეცემა თავს, გასწედაც მიუთითებს მოხერხებული კაცი, და ჩაუჭერს ბრჭყალებს და ჰღრღნის. არ-კი გეგონოთ, რომ ის კაცი, ვისაც ამ ნაირი გამხეცებული გულ-უბრყვილო დაეცემა, ეჯავრება და სძულს, არა, ის მხოლოდ წესსა და რიგს ასრულებს გარეგნობითა.

ძნელია მდგომარეობა მწერლისა, როცა ამისთანა მკითხველებთანა აქვს საქმეო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მწერალსაც ჰყავს „მეგობარი“ მკითხველიო.

მაგრამ ეს მკითხველი ამ ჟამად შეშინებულია, მიმალულია კუთხეში და ძნელი გასაგებია, სახელდობრ, სად იმყოფება. დადგება ხოლმე ხან-და-ხან-კი ისეთი წუთიცა, როცა ამ გვარი მკითხველი უცებ გამოჩნდება ხოლმე და მწერალსა და ამ გვარს მკითხველს შუა ერთობა გაიმართება ხოლმე. ამ გვარი წუთი თვით უბედნიერესი წუთია ხოლმე მწერლისათვის იმის ძნელსა და მძიმე სამწერლო მოღვაწეობის დროსაო.

საზოგადოდ-კი პირდაპირი და ნამდვილი ურთიერთობა მწერალსა და მკითხველს შუა არ არსებობსო, ამბობს შჩედრინი. ერთი სწერს და მეორე კითხულობს და სხვა არაფერი, თითქო ეს კითხვა არაფერს არ ავალებდეს მკითხველს ან სინიდისისა და ან საზოგადოების წინაშე.

* *

„Новое Время“ ბუკსა და ნაღარასა სცემს: სამშობლო ქვეყანა იღუპება და მიეშველეთო. რა ამბავია და რა მომხდარა?

ჩვენ თუ ყურ-მახვილად არა ვართ, თვალები კარგად არ გავაჭყიტეთ და მთქნარება დავიწყეთ, კავკასიისა და იმიერ-კავკასიის სიმდიდრე უცხოელთ ჩაუვარდება ხელშიო. ფრანგები და ებრაელნი, რომელთაც როტშილდებს ეძახიან, უკვე ფარფაშობენ საქართველოში და ახლა ინგლისელები აპირობენ ფარფაშობასა. გურიაში სახელმწიფო ნავთოსან მამულზე, რომელიც დავიდოვისათვის მიუცია მთავრობას, ინგლისელთა საზოგადოებას ნავთის წყაროების თხრა დაუწყია. ყველა საჭირო იარაღი მუშაობისათვის ინგლისელებს თავიანთ ქვეყნიდამ მოუტანიათ და მუშაობის ზედამხედველებადაც ინგლისელები არიანო.

გაზეთი ამბობს, რომ ინგლისელებს არ უნდა დავანებოთ ჩვენი სიმდიდრეო. დიაღაც, ჩვენმა სიმდიდრემ უპირველესად ჩვენ უნდა გვარგოს და არა ინგლისელებსა და გერმანელებსა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარიჟიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости“-ს, რომ რუვიეს სამინისტროს ეხლავე «დროებითი სამინისტრო» დაარქვესო. აქაური მმართველობა დიდად შიშობს, ვაი თუ მკვიდრთა შორის არეულობა ასტყდეს იმის გამო, რომ უეჭველად ბულანჟე იქმნეს დანიშნული სამხედრო მინისტრის თანამდებობაზეო. ჯარებისათვის ბრძანება მიუციათ, რომ ყაზარმებიდგან არსად წასვიდეთ და მზად იყავითო. ხმა გავრცელებულა პარიჟში, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მსოფლიო გამოფენის დაწყება კიდევ ერთის წლით გადასდოსო.

— 14 მაისის დეპუტატთა პალატის კრებაზე ბაასი განსაკუთრებით თეატრს «კომიკურს ოპერის» უბედურებაზე ჰქონიათ. ჯერ აპრილის უკანასკნელს რიცხვებშივე დეპუტატს ბ-ნს Steenackers გამოუცხადებია საერო მინისტრის ბ-ნის ბერტლოსათვის, რომ ამ თეატრს ცეცხლის გაჩენისა დიდი შიში აქვს და ამიტომ რაიმე ღონე უნდა ვიღონოთ მოსალოდნელის უბედურების ასაცილებლადაო. ბ-ნს ბერტლოს უპასუხნია, რომ მეც თქვენის აზრისა ვარ, მაგ თეატრს გადაკეთება უნდა და ამ გადაკეთების პროექტი უკვე შედგენილიც არის კიდეცაო; ხოლო ამ პროექტის სისრულეში მოყვანა ფინანსთა მინისტრსა და საბიუჯეტო კომისიაზედ არის დამოკიდებული, რომელნიც ძნელად თუ დაგვეთანხმნენ და 1,200,000 მანათი მოგვცენ თეატრის გადასაკეთებლადაო. დასასრულ, ბ-ნს ბერტლოს უთქვამს, რომ მაინც-დამაინც ეს საქმე არა სჩქარობს, შეუძლებელია, რომ აგრე ჩქარა გაუჩნდეს მაგ თეატრს ცეცხლიო, და ამაზედ შეუყენებიათ თეატრის გადაკეთების საქმის გადაწყვეტა. ამ ბაასიდგან სწორედ თორმეტის დღის შემდეგ „კომიკურს თეატრს“ ცეცხლი მოეკიდა და მოსალოდნელი უბედურება დატრიალდა. 14 მაისის კრებაზე ორი საგანი ჰქონია კრებას განსახილველი: 1) ცეცხლში დაღუპულთა სასარგებლოდ 80,000 მანათი გადაიდოსო; 2) ამორჩეულ იქმნეს კომისია 11 კაცისაგან შემდგარი და მიენდოს, რომ ამ კომისიამ რაიმე ღონის-ძიება გამოსძებნოს ამისთანა უბედურების ასაცილებლად შემდეგშიაცაო. პირველი საგანი—დაღუპულთა სასარგებლოდ 80,000 მანათის გადადება კრებას მიუღია 527 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 2-სა, მეორე საგანი გადაუწყვეტელად დარჩენილა, რადგან ეს საქმე მთავრობისა და პოლიციის საქმეაო. ცეცხლში დაღუპულთათვის 80,000 მანათის გადადების საქმე სენატსაც მიუღია 16 მაისს თავის მხრივ.

— დღეს მიღებული გაზეთები სავსეა საფრანგეთის თეატრის უბედურობაზედ მოთხრობილის ამბებით. უმეტესად გაზეთები თეატრის გამგეობასა სდებენ ბრალსა: თეატრს რკინის ფარდა ჰქონდა, მაგრამ ვერ ჩამოუშვეს, რადგან დაჟანგებულიყოო; თეატრის გამგეობაა ამაშია დამნაშავე, რატომ დროე გამოშვებით არა სინჯავდა რკინის ფარდის ჩარხების სიავ-კარგეს და ან რატომ პოლიცია არ ადევნებდა ამ გარემოებას თვალყურსაო.

— „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშის სიტყვით, ქაირის დიპლომატიურს წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთის სამინისტროს კრიზისი თავის შეხედულობას არ შეაცვლევინებს ეგვიპტის საქმეზედ ამ სახელმწიფოსაო. საერთოდ საფრანგეთის მთავრობას დიდად მოსწონს, რომ ინგლისის და ოსმალეთის შორის მორიგება ჩამოვარდა ეგვიპტის საქმის გამო, ხოლო წინააღმდეგია იმ ერთის მუხლისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვინიცობაა თუ საჭირო შეიქმნა, ინგლისს ნება ექმნება ხელ-ახლად ჩაასაყენოს თავის ჯარები ეგვიპტეშიო.

**გერმანია.** წარსულ შაბათის ნომერში გვქონდა ნათქვამი, რომ ბელფორში გერმანიის მთავრობამ დაატუსაღა ორი რკინის გზის მსახური, საფრანგეთის ქვეშევრდომნი, შმიდტი და რეინბოლდიო იმის გამო, რომ გერმანიის საზღვრის მაჩვენებელი ბოძი მიწიდგან ამოეგდოთო. ეხლა საზღვარ-გარეთის გაზეთები ამბობენ, რომ ბოძი ამოგდებული-კი არ იყო, არამედ ზედ ბოძზედ დაეწერათ კუპრით: „გაძღეთ, განაძევეთ პრუსიაგაუმარჯოს საფრანგეთს!“-ო. ამ საქციელის ბრალს აძებენ შმიდტსა და რეინბოლდსა, საფრანგეთის ქვეშევრდომთა. შმიდტი სცხოვრობს ალტ-მიუნსტეროლში და აქვე დაუპატიმრებიათ და რეინბოლდი-კი ალტ-მიუნსტეროლში მისულა საზღვარ-გარეთიდგან რაღაც საქმის გამო და ისიც იქავე დაუპატიმრებიათ დაუყოვნებლივ. ორივენი თავიდგან ბრალს იყურიანო. შმიდტი და რეინბოლდი დაუპატიმრებიათ მიულჰაუზენის საპატიმროში და ფეხებში ბორკილი შეუყრიათ.

**ოსმალეთი.** „რეიტერის სააგენტო“-ს აუწყებენ დეპეშით ყანდიიდგან, რომ კუნძულ კრიტის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა კრიტის საერო კრებას: ყოველივე თქვენი სურვილი ქაღალდზედ დასწერეთ, ჩამოთვალეთ რაზედა ხართ უკმაყოფილოდ და რასა თხოულობთ და თქვენს თხოვნას სულთანს მივართმევ განსახილველადაო.

— ვენელი კორრესპონდენტი ამბობს გაზ. „Times“-ისა, რომ ინგლისისა და ოსმალეთის შორის მორიგების დაბოლოებას ეგვიპტის საქმის გამო იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ დიდს ვეზირს ოსმალეთისას მოწყალის თვალით აღარ უყურებს სულთანი და შეიძლება იმის ადგილი ჰასან-ფეში-ფაშამ დაიჭიროსო. მრავალი სამხედრო და საერო წოდების კაცნი გაუგზავნიათ ანატოლიასა და სომხეთში. ზოგიერთს საპოლიტიკო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ დიდ ვეზირად ოსმალეთში ისევ ძველი დიდი ვეზირი საიდ-ფაშა იქმნება დანიშნულიო.

**ამერიკა.** გაზ. „Times“-საც აუწყებენ დეპეშით ფილადელფიიდგან, რომ ამ 1887 წ. აპრილის თთვის განმავლობაში ამერიკაში სულ 73,107 კაცი გადმოსახლდა და შარშან, 1886 წლის ამავე თთვეში-კი სულ 49,158 კაცია გადმოსახლებულიო. ჯერ მარტო დიდ-ბრიტანიიდგანა და ირლანდიიდგან 25,818 კაცი გადმოსახლებულა ამერიკაში, შარშანდელზე 10,603 კაცით მეტიო.

## ანგარიში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის და პანსიონის მდგომარეობისა 1886 წლის აპრილიდგან 1887 წლის 1-ლ მაისამდის.

პანსიონი. პანსიონში ამ ჟამად იმყოფება 64 მოსწავლე: 19 საზოგადოების სრულს ხარჯზე, 35 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე (შემოაქეთ ათ-ათი თუმანი) და 11 თავიანთ ხარჯზე. ამ უკანასკნელთ შემოაქვთ ოცი თუმანი წელიწადში. პანსიონს განაგებს ინსპექტორი, რომელსაც ეკონომიურს ნაწილში ეხმარება ეკონომი, და რაც შეეხება მუდმივ თვალყურის ჭერას, ამ თანამდებობას ასრულებენ ორი აღმზრდელი ჯერით. ორი აღმზრდელი, რასაკვირველია, არ არის საკმაო პანსიონისათვის, სამი მაინც არის საჭირო, რომ რიგიანი ყურადღება იყოს მიქცეული პანსიონერების აღზრდაზედ და სალამოობით გაკვეთილების მზადებაზედ. ამას კარგად გრძნობს კომიტეტი და სხვათა შორის ამ საფუძვლითაც საჭიროდ დაინახა ინსპექტორის თანაშემწის მოწვევა. საზოგადოდ პანსიონერები ახლაც უკეთ სწავლობენ, ვიდრე გარედგან მოსიარულები, მაგრამ მომავლის წლიდგან, როდესაც მეტი ძალა იქნება მიქცეული ამაზედ, იმათი სწავლის საქმე კიდევ უკეთესად წავა.

რაც შეეხება სმა-ჭამას, ჯეროვანი ყურადღება იყო მიქცეული იმაზედ, რომ პანსიონერებს ჰქონოდათ ყოველთვის მარგებელი საჭმელი და იმდენი, რამდენიც საჭირო იყო. როგორც იყო დაწესებული, დილას და სალამოს ეძლეოდათ ჩაი და პური, შუადღეზედ საუზმე და სადილად ორი თავი საჭმელი; კვირა-დღეობით ტკბილეულიც ჰქონდათ და ხან-და-ხან ღვინოც.

საანგარიშო წელიწადი ჯანმრთელად გაატარა ჩვენმა პანსიონმა; მარტო ერთი ყმაწვილი იყო ავად საოფლით და იმის ავადმყოფობამაც მშვიდობიანად ჩაიარა. სხვა არაფერი გადამდები ავადმყოფობა არ ყოფილა მთელის წლის განმავლობაში. ავადმყოფის პანსიონერებისათვის სკოლის დაარსებიდგანვე მოწვეული გვყავს ექიმი ბ-ნი ბაბოვი; საავადმყოფო ოთახის მეთვალყურედ ქალია დანიშნული, ზაალ გედევანოვის ასული, ქვრივი დარია პაშკაგისა, რომლის პირ-და-პირს მოვალეობას შეადგენს ავადმყოფების მოვლა თანახმად ექიმის განკარგულებისა; იგივე განაგებს პანსიონერების საცვლის საქმესაც. როდესაც მძიმე ავადმყოფი ვინმე გვყავს პანსიონში, იმ შემთხვევაში სასწავლებლის გამგეობა არა სჯერდება ერთს ექიმს, სხვა ექიმსაც მოიწვევს ხოლმე კონსილიუმის გასამართავად, რომ ყოველი საშუალება ხმარებულ იქმნას, რაიცა საჭირო აღმოჩნდება.

---

გორც ზეციურს მანანას. სახუმარო საქმე ხომ არ არის—ფრაზების რაოდენობა უტყუარი ზომაა მამულისშვილობის სიღრმე-სიგანისა და როცა საქმე ასეა, აბა რომელი ოხერი აიღებს ხელს ფრაზებზედ, თუ ვისმე ენა უჭრის და ხრინწი არა ჰსჭირს!.. კიდევ ჯანი გავარდეს, თუ-კი მაღალი ფრაზები ქუჩაში გესმის ან მხიარულს სუფრაზედ, მაგრამ დასაფიქრებელი ისაა, რომ ფრაზამ ფესვები ღრმად გაიდგა თვით მწერლობაშიაც... ხშირად შეხვდები აქაურს ჟურნალ-გაზეთობაში უშველებელს წერილს—ქართული ხორო გვეწვია და მეტის სიხარულისაგან გული წაგვივიდაო... ან არა და, დიდებული პოეტი გვესტუმრა, სულითა და გულით გავენათლდითო!.. ყოველივე ეს მდაბიო ენაზედ რომ გადაითარგმნოს, აი რა გამოვა: გაიგეთ რა ბიჭები ვართო, რა მამულის-შვილები ვბრძანდებითო!.. ეჰ, ჩემო ჰამზა, ამაზედ მეტს ნულარ მათქმევინებ, თორემ ხომ იცი რაცა სთქვა ჰეინემ—სადაც ჭეშმარიტებას იტყვი, იქვეა შენი გოლგოთაო...

გარწმუნებ, რომ ახალის მამულისშვილობის ჩხავანა-გმირები ჯვარზედ გამაკვრენ.

ზოგიერთ სერიოზულ გურჯებს კიდეც მოსწონთ ეს საფრაზო დრო, თუ ასე შეიძლება ითქვას. ამის საბუთად აი რას ასახელებენ; დიდი საქმეა, საზოგადოება რო სამშობლოსაკენ მოვახედეთო, პირი ღვთისაკენ მოვუბრუნეთო. თუმცა აქ მე დიდს საქმეს ვერა ვხედავ, მაგრამ ერთს რამეს კი არ უარვყოფ და აი რასა: ხალხის ცხოვრებაში ფრაზების დრო მიუცილებელი დრო ყოფილა. ამას მაგალითები ამტკიცებენ და შენც, ჰამზა, გეცოდინება ეს მაგალითები. თუ აწინდელი დრო ფრაზების დროა, ეს იმიტომ, რომ ლიტერატურის შინაარსი ღარიბია, მწერლობა აზრებით ღატაკია და სიტყვებით მდიდარი. მკითხველი საზოგადოებაც ფრაზებით იკვებება, სერიოზულს საზრდოს იშვიათად პოულობს. იქ, სადაც მწერლობა მალე დასდგომია სწორე გზას, ჩქარა შეუსწავლია საფუძვლიანად ხალხის წარსული და აწმყო და სადაც მოწინავე დასი ღრმად განვითარებული ყოფილა,—იქ აზრს მალე უძლევია სიტყვა, საქმეს—უგვანო ჩხავილი, იქ მალე დამყარებულა შრომის დრო.

მაინც წინა წერილში გპირდებოდი და ეხლა მარჯვე დრო მაქვს ცოტაოდენი რამე ლიტერატურულ მოამბეობაზედაც მოგწერო. მე კარგა ხანია გულ-დადებით ვკითხულობ „მოწერილს ამბებს“ (კორრესპონდენციებს) და გატეხილი უნდა გითხრა, რომ არც ერთს ლიტერატურულს განყოფილებაში ისეთს აზრის სისუსტეს და ზნეობრივს სილატაკეს ვერა ვპოვებ, როგორც „მოწერილს ამბებში“. პირ-და-პირ ამის მიზეზი ისაა, რომ მოამბეობა არც ერთს რედაქციაში არ არის ხეირიანად მოწყობილი. ვინც არ გინდა მოამბეა,—აბა მწერლობა როგორ წავა წესზე და რიგზედ! მოამბე-გურჯი კიდევ კალამს თუ აიღებს ხელში, უფრო აზრად ისა აქვს, რომ ანგარიშში გაუსწორდეს თავის მტერს, გულის ჯავრი იყაროს იმაზედ... იშვიათად თუ ამას გასცილდება ხოლმე მოქალაქობრივი მოვალეობა მოამბისა! ან არა და—თვითეულს მოწერილს ამბავში ცალფულად ღირებულს ლიბერალობას შეხვდები: ამა-და-ამ მოხელემ ესა-და-ეს ჩაიდინაო, ამან ჯიბე გაივსო და ის კიდევ დუქანში დაითროვო... სულ ამისთანა ამბები, თითქო ყველაფერი ეს ვისთვისმე იყოს საჭირო! სული და გული გააწყალეს სკოლის საჭიროებაზედ წერით, ვითომ სკოლის სარგებლობის ცნობა ახალი ხილი იყოს. საქმე იმაშია, ჩემო ჰამზა, რომ აქაური მოამბეობა სრულებითაც არ გვიხატავს ცხოვრების სურათს, ხალხის შინაურს ცხოვრებას, თუმცა ეს შინაური ცხოვრებაა ჩვენთვის საჭირო და არა წვრილმან მოხელეების რაინდობა, იაფის ფასის ლიბერალობა. ამბობენ—ცხოვრება ერთს დონეზედ სდგასო, და სხვა რა გიამბოთო... რა შეცდომაა! არა, ბატონებო,—აბა ღრმად დაუკვირდით ხალხის ცხოვრებას, შეისწავლეთ იგი და მაშინ გაიმეორეთ თქვენი დასკვნა. ცხოვრება-კი არა, თითონ მოამბის დაკვირვება და გონების თვალია ღარიბი და ამიტომაც მოამბეობაც უფერულია და უშინაარსო. სულ-ქვეშ უნდა ვსთქვათ, ჰამზა, რომ სხვა სიკეთესთან ერთი საყურადღებო სიკეთეც დასთესა „გურჯისტანის“ რედაქციამ. ეს ის, რომ ბაშიბუზუყობა და ბერიკაობა სრულებით გასდევნა „მოწერილ ამბებიდამ“ და საზოგადოებამაც მოისვენა. წინად სულ სხვა იყო,—მოამბე დაგეშილის ქორისავით მოესევოდა თავის მსხვერპლს და სწიწკნიდა... ვინ იყო დამშლელი! ეხლა კი ეს არ შეიძლება.

ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ სხვა დროს იყოს. ვიცი, ჩემო ჰამზა, რომ ზოგიერთი ჩემი აზრი არ მოგეწონება, ზოგს კიდევ უსაფუძვლოდ მიღებ. მე ეს არ მადარდებს, რადგანაც ერთსა და იმავე საგანზედ ხშირად სხვა-და-სხვა აზრისა არიან.

მოლა ბაშირ

ჩვენი სკოლა შესდგება ახლა ოთხის მოსამზადებელის განყოფილებისაგან და ხუთის გიმნაზიის კლასისაგან. როდესაც გამგე კომიტეტმა მოახსენა საზოგადოებას მეხუთე კლასის გახსნა და იმისათვის საჭირო ხარჯი მოითხოვა, იმედი ჰქონდა, რომ სკოლის მატერიალური საშუალება იმატებდა; კომიტეტი ჰფიქრობდა, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილება დროზე მოვიდოდა აღსრულებაში; გაწერილის სასკოლო ფულის საქმე დაბოლოვდებოდა და ამ იმედით აპირებდა გიმნაზიის შემდეგ კლასების გამართვას; მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი ისევ მოლოდინად რჩება დღემდის და სკოლას ღონის-ძიება არა აქვს კლასების მომატებისათვის. უმთავრესი მასაზრდოებელი ჩვენის სკოლისა ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკია, რომელსაც ამ ჟამად არ შეუძლიან მოგვცეს მეტი იმაზედ, რასაც აქამდისინ გვაძლევდა. ამისთანა მდგომარეობაში, უეჭველია, ახალის კლასების გახსნა შეუძლებელია; პირ-იქით, უმჯობესიც იქნება, მეხუთე კლასიც დაიხუროს, ვინაიდგან მარტო მეხუთე კლასს, თუ მეექვსე, მეშვიდე და მერვეც არ მოჰყვება, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. დრომდის ოთხკლასიან პროგიმნაზიას უნდა დავჯერდეთ და იმაში კურს-შესრულებული ყმაწვილები სახელმწიფო სასწავლებლებში მივაბაროთ სწავლის გასაგრძობად. სანამ ჩვენს სკოლას უფლება არ მიჰნიჭებია, რომ ყმაწვილები უეგზამენოდ გადადიოდნენ სახელმწიფო გიმნაზიებში, ჩვენის სკოლის მოსწავლე იძულებულია, მეორე და მესამე კლასიდგან გამოვიდეს და სხვა სასწავლებელს მიჰმართოს, რომ შემდეგ უმაღლესს კლასებში შესვლა საძნელოდ არ დაურჩეს. ამ მიზეზისა გამო არა თუ მეხუთე და მეექვსე კლასებისათვის, შეიძლება, მეოთხე კლასისათვისაც ბევრი არ შეგვრჩეს მოსწაველე და მაშინ სასწავლებელი მოკლებული იქმნება იმ მნიშვნელობას, რომელიც უნდა ჰქონდეს მას. ამისათვის საჭიროა, თავის დროზე ვიზრუნოთ სკოლის უფლების მოპოვებისათვის და მკვიდრ საფუძველზე დავამყაროთ პირველად ოთხ-კლასიანი პროგიმნაზია, რომ შემდეგ გიმნაზიის კლასების გახსნა შესაძლო იქმნეს და ნაყოფიერი დარჩეს საზოგადოებისათვის. ამ საფუძვლით კომიტეტი საჭიროდა ხედავს, მეხუთე კლასი დაიხუროს დროებით და ეხლანდელ მოსწავლეებს მეოთხე და მეხუთე კლასისას გზა გაუხსნას სახელმწიფო გიმნაზიებში. თავ-მჯდომარე გამგე კომიტეტისა, ბ-ნი კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი, შეუდგა კიდეც ამ საქმისათვის შუა-მდგომელობას სასწავლებლო მთავრობის წინაშე და ვინც ეგზამენს დაიჭერს, მიღებულ იქნება შესაფერ კლასში. გარდა ამისა კომიტეტი საჭიროდ სთვლის, მომავალის სასწავლებლო წლიდგან შეტანილ იქნას მესამე კლასში, თანახმად სამინისტროს პროგრამებისა, ბერძნული ენის სწავლება, რომ ჩვენის სკოლის მოსწავლეთ დაბრკოლება არ შეხვდეთ სახელმწიფო გიმნაზიების შესაფერ კლასში გადასვლის დროსა.

## გასართობი

ქალებს კაცების ტანისამოსის ჩაცმაც დაუწყვიათ. ამ ახლო ხანში პარიჟის პოლიციის პრეფექტს ხელ-ახლად გამოუცხადებია საყოველთაოდ, რომ ქალებს აკრძალული აქვთ კაცის ტანისამოსი ატარონო. ამის ნება მიეცემათ მხოლოდ ყველიერის მასკარადების დროსაო. ამ გვარი ბრძანება გამოწვეულია თურმე ქალბატონის დიეულაფუას საქციელის გამო. ეს ქალბატონი გამოჩენილის აღმოსავლეთის მოგზაურის ცოლია და ძრიელ უყვარს კაცის ტანისამოსით სიარული. ამას წინად ეს ქალი მისულა „საკომიკო ოპერის“ თეატრში და მთელი საზოგადოება თურმე სცენას-კი აღარ უყურებდა, მარტო ამ ქალს შესცქეროდაო. ქალს ფრაკი ეცვა და ყელზედაც თეთრი ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებულიო.

# დეპეშა

23 მაისი

ვოლვერგემპტონი. ლორდმა რანდოლფ ჩერჩილმა წარმოსთქვა სიტყვა კონსერვატორ ამრჩევლების კრებაზე და ცხარედ გაჰკიცხა საადმინისტრაციო წესნი ინგლისის ჯარისა და ფლოტისანი. თუმცა დიდი ფულია დახარჯული, მაგრამ მაინც ინგლისი სრულიად მზად არ არის საომრადაო: ცხენოსანი და ქვეითი ჯარი და არტილლერია ცუდად არის შეიარაღებული, ციხენი რიგიანად არ არიან გამაგრებულნი და არც სამყოფი საომარი და სასურსათო სამზადისი აქვსო; ისეთს ციხესაცკი, როგორიც არის მალტა, იმდენი სურსათი აქვს მხოლოდ, რომ სამს კვირას ძლივს გასძლებს, ვინიცობაა მტერი გარს შემოადგაო. ჩერჩილმა დაასახელა ბევრი მაგალითი, რომ საშინელი ნაკლულევანება აღმოუჩენიათ ჯარისა და ფლოტის საადმინისტრაციო წესწყობილებისა. დასასრულ დაასკვნა, რომ ასეთი წესები დიდს ხანს გასტანს, თუ ინგლისის ერმა ცხადად და ხმა-მაღლა არ მოითხოვა ძირეულის ცვლილების შემოღებაო. მე მზადა მაქვს ამ გვარ ცვლილებათა პროექტი, მაგრამ ჯერ არ ვაცხადებ და არ ვაქვეყნებო. ჯერ იმას ველოდები, თუ რას იტყვის ერი საქმეთა ნამდვილს მდგომარეობაზე, რომლის სურათიც მე წარმოვადგინეო.

ვენა. როგორც აქ ხმები ისმის სოფიაში დიდი კრება ივნისში იქმნება მოწოდებულიო.

24 მაისის

ნოვგოროდი. ხვალ დაიწყობა სეზონი მადნის წყლებისა „Старая Русса-ში

ოდესსა. საბანაო სეზონი ლიმანებზე უკვე დაიწყო.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა ბაქის დაწესება მოტანილ შაქარზედ და დაიწყო გარჩევა ბულანჟეს კანონ-პროექტისა ახალის წესით ჯარის გამართვაზე. ფერრონმა სთქვა, რომ უმეტესი ნაწილი ამ კანონ-პროექტისა მე მომწონსო, მეტადრე ის ადგილი, სადაც ბულანჟე ლაპარაკობს ჯარის მდგომარეობაზედაო.

ბულანჟეს სთხოვეს მიიღონ კორპუსის კომანდირობა, მაგრამ მან ითხოვა, დიდის ხნით დამითხოვეთ სამსახურიდგანაო.

გენერალი ლეფლო ამბობს, რომ რაც კი მე ვსთქვი რადოვიცის მისსიაზე პეტერბურგში 1875 წ., მართალიაო.

ბერლინი. ივნისის 6 იმპერატორი ვილჰელმი წავა ემსში და იქიდგან კიდევ გაშტეინში.

ბუდა-პეშტი. რადგანაც სეგედინის ახლო გოდორ-ყურეები მოთხარეს, ტისსის მდინარე გადავარდა და წყლით დაჰფარა დიდი მინდვრები: ამ მინდვრებიდამ კარგს მოსავალს მოელოდნენ. სეგედინის გარეთ-უბანი და ბევრი სოფლები წყლით აივსო. ხალხს უბედურება არა შეემთხვა - რა, მაგრამ დიდი ზარალი-კი მოუვიდა.

26 მაისი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრი რამდენისამე ხნით მიდის პეტერბურგიდამ. საზოგადოდ ხელმძღვანელობა და საყურადღებო საქმეებზე თვალ-ყურის დაჭერა ისევ მინისტრის მოვალეობა იქმნება, მხოლოდ სხვა-და-სხვა ყოველ დღიურ საქმეების გამგებლობა კი ჩაჰბარდება მას ამხანაგებს.

ვენა. როგორც კერძო დეპეშები იუწყებიან ვარნიდამ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ცალკე მოლაპარაკება ბოლგარიის თაობაზე. ამ მოლაპარაკებას საგნად უფრო ისა აქვს, რომ დღევანდელი სარეგენტო მთავრობა გადაყენებულ იქმნას და მის მაგიერ დაინიშნოს მთავარი—რეგენტი.

სიმლა. როგორც სჩანს იმ ამბებიდამ, რომელიც ამ უკანასკნელს დროს მოვიდა ქაბულიდამ, ყველგან მშვიდობიანობააო. გენერალმა გოლამხანდერმა გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ გილზაების წინააღმდეგაო, ზოგიერთნი მეამბოხენი უკვე დაიმალნენ და თავ-თავიანთ სახლებში ბრუნდებიან.

### პეტერბურგის ბირჟა, 22-ს მაისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 86 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 172 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 267 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 243 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 97¾ | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | 84½ | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუჰზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

27 დღე ოთხშაბათი. წმ. მღვდ. მოწ. ეპისკ. თერიპონტისა. კათოლ. მაგდალინასი და იოანნასი. სომეხ. მე-3 დღე წმ. ელიას მარხვიდგან. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ქუშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—33. მთვარე 17 დღისა.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საშზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმს საავგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**II**

**დავით გურამიშვილი**

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—2)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . . | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . . | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . . | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | » |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | » | 5 |
| იგავ არაკი, რაფაელ ერისთვისა. | » | 25 |
| განკიცხული, მაჩხუპარიძისა . | » | 50 |
| ცაკო, მისივე. . . . . , . | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . . | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . . | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე. . . . . . . . | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | » | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | » | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | » | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | » | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . . | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | » | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მასი. . . . . . . . . | » | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | » | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | » | 5 |
| ალი. ნ. ლომაურისა. . . . | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | » | 5 |
| მომღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | » |
| თხულებანი, მისავე ნაწ. I. . | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . , . | » | 30 |


# გილლესა და დიტრიხის

ქირარდოვოს მანუფაქტურების უმაღლესად დამტკიცებულ სააქციონერო საზოგადოების უმთავრესს საწყობ მაღაზიაში

მიღებულია დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი

## პარუსინა და ფაჩის მატერია

კიტელებისათვის, სხვა-და-სხვა ფერის ტილოები ყმაწვილებისა და კაცების ქილეტკებისათვის, ხუფრები, ხალფეტკები, პირსახოცები. არის ხუფრები 6,12, 18 და 24 კაცისათვის. ჩულქები ყმაწვილებისა და ქალებისათვის, წინდები კაცებისათვის თეთრისა და კრემის ფერისა.

ამას გარდა მაღაზიაში ბევრ-გვარი პარუსინებია კარვებისა და ტილოს ტომრებისათვის, მზა-მზარეული ტილოს ტომრები, პარუსინები ბრეზენტებისათვის; მზა ბრეზენტები ყოველ-გვარის სიდიდისა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებელ ვაჭრებს სურვილისამებრ ნიმუშები გაეგზავნებათ.

ტფილისში: სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა ბანკისა.

ბაქოში: ოლგის ქუჩა, სახლი ბალაბეგ ლალაევისა.

(5—5) დონნერი და ლეიტცი


Дозв. цен. Тиф. 23 мая, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე